7

ქართული ლიტერატურა

მოსწავლის წიგნი

მაია მენაბდე
ელისო ნიჟარაძე
ბაკურ სულაკაური
თეა ქიტოშვილი

სულაკაურის გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს.

შინაარსი

პირველი ნაწილი

ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ 7

თავი 1 ბავშვები სკოლაში

ტექსტები

გიმნაზიაში 10
აკაკი წერეთელი

ჩემი გავშვოგის სკოლა 16
რევაზ ინანიშვილი

ახალი მოსწავლე 20
ჯემალ ქარჩხაძე

გამოუსწორებელი ლაქლაქა 23
ანე ფრანკი

ავტოგიოგრაფია 27
ილია ჭავჭავაძე

ორი წერილი მასწავლებლებს 31

თეორია

ავტორი, მთხრობელი, პერსონაჟი 15
თხრობა, აღწერა, მსჯელობა 19
დღიური 25
ავტობიოგრაფია და ავტობიოგრაფიული ნაწარმოები 30
სივი CV 30
წერილი 33
იმეილი ანუ ელექტრონული წერილი 34

თავი 2 ოჯახური გარემო

ტექსტები

ვანო 38
რევაზ ინანიშვილი

ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან... 42
შოთა ნიშნიანიძე

ერთ მშვენიერ დღეს 44
შადიმან შამანაძე

ვაჟა-ფშაველას ოჯახი 51
აკა მორჩილაძე

მთის გადაღმა 54
გურამ დოჩანაშვილი

თეორია

ავტორის გამონაგონი ანუ მხატვრული ნაწარმოები 41
პროზა, პოეზია და დრამატურგია 43
პროზაული ტექსტები 43
პიესები ანუ დრამატული ნაწარმოებები 48

თავი 3 წიგნი

ტექსტები

სურათებიანი წიგნი 66
რეზო ჭეიშვილი

ლოჭინში 70
რევაზ ინანიშვილი

შემთხვევა ლოჭინში 72
ნაწყვეტი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის წიგნიდან

წიგნების გასაყიდად წასვლა 75
ზაალ სამადაშვილი

რისთვის სჭირდებათ ბავშვებს წიგნები? 80
ასტრიდ ლინდგრენი

თეორია

წიგნები ძველად 69
ელექტრონული წიგნები და რიდერები 74
პუბლიცისტური წერილი 82
საინფორმაციო ცნობა 83
რეკლამა და წიგნის ანოტაცია 84
ელექტრონული წიგნების მაღაზია 85
ვიკიპედია და ონლაინ-წიგნები 85

თავი 4 ძველი და ახალი დროის გმირები

ტექსტები

დავითი და გოლიათი 90
ბიბლია, პირველი მეფეთა, თავი XVII

ოდისევსი და ციკლოპი 94
ჰომეროსი, „ოდისეა“, თავი IX

ვახტანგ გორგასალი 102
ვახტანგ ჭელიძე

ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა 110

ბეტმენის და ჯოკერის ორთაბრძოლა . . . 116
ფრენკ მილერი

თეორია

შედარება 100
მეტაფორა 100
ბიბლია 101
„ილიადა“ და „ოდისეა“ 101
ეპითეტი 107
შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ 108
კომიქსი ანუ გრაფიკული რომანი 118

თავი 5 ძველი თბილისი

ტექსტები

მოხერხებული ჩარჩი 122
ლავრენტი არდაზიანი

მოგზაურის თვალით 126
ალექსანდრე დიუმა

ცხოვრება ძველ თბილისში 129
აკა მორჩილაძე

ხანძარი ოპერაში 134
დათო ტურაშვილი

გამოთხოვება ძველ თბილისთან 138
იოსებ გრიშაშვილი

დიუმა თბილისის ოპერაში მიდის 141

თეორია

ტექსტის ელემენტები 140
სათაური 140
ეპიგრაფი 140
სქოლიო 140
თავებად დაყოფა 140

თავი 6 მგელი არ მოშლის მგლობასა, არწივი – არწივობასა...

ტექსტები

იცნობდეთ, მგელი 146
იასონ ბადრიძე

მთის არწივი 148

ბებერი მგელი 150
ნუგზარ შატაიძე

მგლის მოკვლა 153
რევაზ ინანიშვილი

ლოგო 156
ერნესტ სეტონ-თომპსონი

გიგია ბუბუნაურის ძმადნაფიცი 161
გოდერძი ჩოხელი

არწივი და გველი 167
შუამდინარული მითოლოგიიდან

თეორია

რამდენიმე შესაძლო მიდგომა 159
სამეცნიერო ნაწარმოები 159
მხატვრული ნაწარმოები 159
მრავალგვარი თვალსაზრისი 160
სხვადასხვა თვალსაზრისის შეჯერება 160
სუბიექტურობა მხატვრულ ლიტერატურაში 170
ენციკლოპედია და განმარტებითი ლექსიკონი 170

თავი 7 ადამიანი ბუნების სურათებში (განსხვავებული პოეზია)

ტექსტები

გრაფიკული ლექსები 174

ხუთი ჰაიკუ 176

ყარყატი 179
ბესიკ ხარანაული

მცირე ელეგია მამისათვის 180
ზვიად რატიანი

თეორია

ლექსი 178
სტროფი და სტრიქონი 178
გრაფიკული ლექსები ანუ კალიგრამები 178
ვერლიბრი 178
რატომ წერს პოეტი ლექსს? 181
შთაბეჭდილება 181
გრძნობა 181
პათოსი 181
სალექსო საზომი და რიტმი 182
რითმა 182

თავი 8 ადამიანის ადგილი სამყაროში

ტექსტები

ბერძნული მითი 188
ინდური მითი 189
თქმულება პრომეთეზე 191
ბერძნული მითოლოგიის მიხედვით
ამირანი 194
ნაწყვეტი აკაკი წერეთლის პოემიდან „თორნიკე ერისთავი“
კოპალა 196
ქართული თქმულებებიდან
კოპალა და იახსარი 199
მინდია 203
ვაჟა-ფშაველა
მირიან მეფის ნადირობა 208
ნაწყვეტი საისტორიო თხზულებიდან „მოქცევაი ქართლისაი“

თეორია

მითები 195
ლეგენდა ანუ თქმულება 195
ჰიპერბოლა 202
ფაბულა 207
სიუჟეტი 207

თავი 9 კონფლიქტი და ზნეობრივი არჩევანი

ტექსტები

შეხვედრა მენგეში 214
ალექსანდრე დიუმა
დუქანში 218
ჭაბუა ამირეჯიბი
გიჟია, თუ რა? 221
ილია ჭავჭავაძე
ჩირიკი და ჩიკოტელა 226
გიორგი ლეონიძე
ტომის ჩხუბი 233
მარკ ტვენი

თეორია

პერსონაჟის პორტრეტი 237
პერსონაჟის ხასიათი 238
კონფლიქტი 238

პირველი ნაწილი

ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ

თავი 1

ბავშვები სკოლაში

8 · · · · · 10 · · · · 16 · · · · 20 · · · · 23 · · · · 27 · ·

თავი 2

ოჯახური გარემო

36 · · · · 38 · · · · 42 · · · · 44 · · · · 51 · · · · 54 · ·

თავი 3

წიგნი

64 · · · · 66 · · · · 70 · · · · 75 · · · · 80 · ·

თავი 1

ბავშვები სკოლაში

სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, განათლების მისაღებად ბავშვები სკოლებში დადიან. ძველად სკოლები ცოტა განსხვავებული იყო, ვიდრე ახლაა. ზოგ ქვეყანაში ახლაც შეხვდები უცნაურ სკოლებს, თუმცა ყოველთვის და ყველა სკოლაში არიან მოსწავლეები და მასწავლებლები.

საკლასო ოთახების გარეშე

დანიის ამ სკოლაში, სადაც 358 უფროსკლასელი სწავლობს, არ არის საკლასო ოთახები. მთელი შენობა ერთი დიდი სივრცეა, სადაც გაკვეთილები სხვადასხვა ადგილას ტარდება.

სკოლა ვაგონში

ადიგენში, სოფელ კიკიბოში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი და მიუვალი სოფელია, გაკვეთილებს რკინის ვაგონში ატარებენ. იქ არც შუქი აქვთ და არც წყალი.

აქ შეისწავლი...

ამ თავში ერთმანეთისაგან განსხვავებული, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი ტექსტებია. თუმცა ყველა მათგანი სკოლასა და სწავლას ეხება. ამ ნაწარმოებების გაცნობის პარალელურად შენ შეისწავლი, როგორ განასხვაო ერთმანეთისაგან:

- ავტორი, მთხრობელი, პერსონაჟი
- თხრობა, აღწერა, მსჯელობა
- ავტობიოგრაფია და სივი (CV)
- ჩვეულებრივი და ელექტრონული წერილი

სკოლა ხიდის ქვეშ

ინდოეთში ზოგიერთ სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს და იმისათვის, რომ წვიმის დროს სწავლა არ შეწყდეს, გაკვეთილები ხიდის ქვეშ ტარდება.

სწავლა ქაღალდის გარეშე

ამერიკის ამ სკოლაში არ გამოიყენება არც წიგნები და არც ქაღალდი. მოსწავლეები ყველაფერს ლეპტოპებში ასრულებენ.

სკოლა გამოქვაბულში

იმის გამო, რომ შენობა არ ჰქონდათ, ჩინეთის ამ პატარა სოფელში დაწყებითი სკოლა გამოქვაბულში მოაწყვეს.

ტექსტები

გიმნაზიაში 10
აკაკი წერეთელი

ჩემი გავშვობის სკოლა 16
რევაზ ინანიშვილი

ახალი მოსწავლე 20
ჯემალ ქარჩხაძე

გამოუსწორებელი ლაქლაქა . 23
ანე ფრანკი

ავტობიოგრაფია 27
ილია ჭავჭავაძე

ორი წერილი მასწავლებლებს. 31

აკაკი წერეთელი
(1840-1915)

აკაკი წერეთელი მე-19 საუკუნეში ყველაზე ცნობილი პოეტი იყო საქართველოში. ბევრი იმდროინდელი სიმღერა სწორედ მისი პოპულარული ლექსების მიხედვით შეიქმნა. ლექსების და პოემების გარდა აკაკი მოთხრობებსაც წერდა. ცნობილია მისი ვრცელი მოთხრობა „ბაში-აჩუკი“, რომელიც მერე ფილმადაც გადაიღეს. გარდა იმისა, რომ განთქმული მწერალი იყო, აკაკის პოპულარობას განაპირობებდა ძალიან მახვილი ენა და იუმორის განსაკუთრებული გრძნობა. აკაკის ხუმრობები ცალკე წიგნადაც კია გამოცემული, სათაურით „აკაკის ნაკვესები“. აი, ორი ნაკვესი:

„ერთმა პედაგოგმა, რომელიც პოეტობასაც ჩემობდა, ახლო სოფელში მიმავალ აკაკის ერთი კვიმატიანი ცხენი ათხოვა და თანაც ლექსების რვეული გაატანა: თუ მოგეწყინოს, ამაღამ ეს გადაიკითხეო. მეორე დღეს ჰკითხა უკან დაბრუნებულ აკაკის:
– როგორ იმგზავრე? ღამე როგორ გაატარე?
– რა უნდა გითხრა, ძმაო, დღე შენმა ცხენმა დამტანჯა და ღამე – ლექსებმა, – მიუგო პოეტმა.“

„ერთმა ახალგაზრდა ქართველმა ინჟინერმა ხუმრობით ჰკითხა ნაავადმყოფარ აკაკის: ასე მალე როგორ დაბრუნდი საიქიოდანო?
– შენი გაკეთებული გზა რომ ყოფილიყო, დღესაც იქ ვიქნებოდიო, - მოუჭრა სიტყვა აკაკიმ.“

დღეს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ბავშვის ფიზიკური დასჯა აკრძალულია კანონით, მაგრამ ძველად მიაჩნდათ, რომ ბავშვის აღზრდისას მისი გამოყენება სასარგებლო იყო. ფიზიკურად სჯიდნენ მოსწავლეს არა მხოლოდ ცუდი ქცევისას, არამედ მაშინაც, როდესაც დავალებას ცუდად შეასრულებდა.

- იმსჯელე, რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ამგვარ მიდგომას?
- შენი აზრით, რატომ აკრძალეს მოგვიანებით ფიზიკური დასჯა?

გიმნაზიაში

ატუზული მორიდებით მდგომი
ამოსაღები მარცვლების ცხრილები, რომლებითაც ავარჯიშებდნენ მოსწავლეებს კითხვაში
უცხუნებდა მაგრად ურტყამდა
გულს ეყრებოდა გული მისდიოდა, გონებას კარგავდა
ხუცური ძველ ქართულ დამწერლობათა (ასომთავრულისა და ნუსხურის) საერთო სახელწოდება

გიმნაზიაში რომ შემიყვანეს, გავცეცდი: იმდენი ბავშვი, ერთად თავმოყრილი, ჩემს დღეში არ მენახა. მოზრდილები სკამზე იჯდენ სულგანაბული და ახალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვენ **ატუზული**. აქ კედელზე ირგვლივ ქაღალდის ფიცრები იყო ჩამოკიდებული, ზედ ანბანი და **ამოსაღები** ეწერა და იმას აკითხებდენ ყმაწვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, **უცხუნებდა** და უცხუნებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ და, როცა შემოუვლიდენ კედლებს, მერე კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვნენ ისინიც სკამზე. ამ ყოფაში იყვენ, სანამ კითხვას ისწავლიდენ. უნდებოდენ ზოგჯერ წელიწადზე მეტს. წარმოიდგინეთ 7-8 წლის ბავშვი დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე მშიერ-მწყურვალი, და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვენ ის საწყლები. ზოგს **გულს ეყრებოდა**, ზოგს თავბრუ ეხვეოდა და ეცემოდენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევდა.

შესვლისთანავე პირველ კედელთან დამაყენეს „ანბან“-ზე, მაგრამ, რადგანაც მე **ხუცური** ვიცოდი, მხედრული წერა-კითხვა შესწავლილი მქონდა და რუსულ ამოსაღებშიაც გატეხილი მქონდა თვა-

ეს არის კადრი რეჟისორ კ. პიპინაშვილის ფილმიდან „აკაკის აკვანი“. ფილმი 1947 წელსაა გადაღებული და აკაკის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. მას საფუძვლად უდევს აკაკის ნაწარმოებები, მათ შორის „ჩემი თავგადასავალიც“.

ლი დედიჩემის წყალობით, ერთ დღეს შემოვირბინე ყველა კედლები.

მასწავლებელმა თავზე ხელი გადამისვა, მომიწონა და უფროსებთან დამსვა სკამზე. კითხვით კარგად ვკითხულობდი, მაგრამ ჩემი უბედურება ის იყო, რომ რუსული არ მესმოდა. იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს, სახაზავს დაჰკრავდენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „**ლინეიკა**“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოდ. ვინც რუსული არ იცოდა ახალშემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ ბედავდენ და მუნჯდებოდენ. ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა: ყმაწვილები ცდილობდენ, რომ ერთმანეთი მოეტყუებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდენ.

ლინეიკა
(რუსული) სახაზავი

სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონე, და ტკბილის ღიმილით, მეგობრულად მკითხა რაღაც ქართულად; მეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე. ყმაწვილს მშვიდობიანი სახე გადაუსხვაფერდა და სიხარულით მომაჩეჩა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა გზა მქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე“ ვერ დავეთანხმე. „რა გენაღვლება შენ, მე რომ „ლინეიკა“ არ დავირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს-მეთქი“, – ვეხვეწებოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ **შორს დაიჭირა**: „მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?!“ მე მაინც არ დავეთანხმე, გავუძალდი და იმანაც ჭუჭყუნი დაიწყო. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მივიდა და დამაბეზღა. დამიძახეს, გავედი შიშით და კანკალით. მასწავლებელმა წარბები შეიკრა და მკითხა: „როგორ ბედავ ურჩობასო? აქ შენი სახლი ხომ არ გგონიაო!“ მე

შორს დაიჭირა
ცივი უარი თქვა

სტოროჟი
(რუსული) დარაჯი
როზგი
ახლად მოჭრილი, ნედლი წკეპლა

ჩამომეთხოვენ
დამანებეს თავი
მაზრა
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველ რუსეთში, დაახლოებით რაიონის მსგავსი

ყოველიფერი
(კუთხური) ყველაფერი
ინსპექტორი
პირი, ვინც მეთვალყურეობს, აკონტროლებს დაწესებულების, ორგანიზაციის საქმიანობას

როტა
ჯარისკაცების ასეული რუსეთის არმიაში
დასნეულებულა
დაავადებულა

თავის გამართლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამივიდა! „კარგი, მე გასწავლი ჭკუასო!“ დაუძახა „**სტოროჟებს**“ და უბრძანა: „**როზგიო**!“ მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა და გაქცევა დავაპირე. „ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთო!“ – იყვირა მასწავლებელმა. იგრიალეს მოსწავლეებმა ჩემ დასაჭერად და გადამეღობენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევვარდი, სადაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოთი მოვახდინე, მაგრამ შევხტი ფანჯარაზე, გავამტვრიე მინები, გადავხტი და მოვკურცხლე შინისაკენ. გამომიდგენ „სტოროჟები“. წინ მე გავრბოდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდენ კიჟინით. გულგახეთქილი შევიჭერ შინ. დედ-მამამ რომ გაიგეს, რაც მოხდა, შეწუხდენ და ბევრიც მირჩიეს: „წადი, რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენ თავზე ხომ არ არის – ყველას როზგავენო. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალო; მაგათში უმისოდ არ შეიძლებაო!“ მაგრამ მე შორს დავიჭირე და გამოტეხილად ვუთხარი დედას: – „თუ კიდევ გაგიგზავნივარ იმ დასაქცევ გიმნაზიაში, თავს დავიხრჩობ-მეთქი!“ შეშინდენ და **ჩამომეთხოვენ**. ერთ კვირას აღარ წავსულვარ კლასში. იმ დროს დირექტორად კოცებუ იყო, ახალი დანიშნული. ქართული **მაზრის** უფროსობის დროს შეესწავლა, კარგად იცოდა და ქართველებიც ძალიან უყვარდა. მოვიდა ჩვენსა და გამომკითხა ყველაფერი. მეც დაუფარავად მოვახსენე, რაც გადამხდა და რასაც ვგრძნობდი. გაუკვირდა, გადააქნია თავი, მომეფერა და მითხრა: – „შენ ჩემი სახელი ახსენე და ნუღარავისი გეშინიაო! ხვალ ჩემთან მოდი პირდაპირ კანცელარიაში და მე წაგიყვან კლასშიო“. მეორე დღეს მართლა წამიყვანა და მიმიყვანა ჩვენს კლასში. გამოიკვლია **ყოველიფერი** და, „მარკის“ ამბავი რომ გაიგო, გაოცდა. მოიხმო **ინსპექტორი**, ზედამხედველები, მასწავლებლები და გამოუცხადა ყველას, რომ დღეიდან ეგ საქციელი აღარ ჩაიდინოთო!... მოსპეთ „მარკა“ და უმიზეზოდ ცემა-ტყეპაზედაც ხელი აიღეთო! მერე მიუბრუნდა ჩემ მასწავლებელს და უთხრა: – „განსაკუთრებით ყურადღება მიაქციე ამ ყმაწვილსაო!“

მართლაც იმ დღიდან ცოდვის ფირფიტა გადააგდეს, მაგრამ ცემა-ტყეპაზე კი უცბად ვერ აიღეს ხელი. უიმისობა მაინც არ ეხერხებოდათ. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო!“ იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო. გიმნაზიებშიაც, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა... დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული. „**როტაში**“ არ უნდებოდათ იმდენი წკეპლა, რაც თვითეულ კლასში. „სტოროჟებს“ ურმებით მოჰქონდათ ყოველ დღე ახალ-ახალი. მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული, „სტოროჟამდე“. მიზეზს არავინ ჰკითხულობდა. ვინ იცის, რამდენი **დასნეულებულა**, რამდენი დამახინჯებულა, და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ!..

***

ერთხელ, სწავლა რომ გათავდა და შეგვასვენეს, მე, რადგანაც დილას არა მეჭამა რა, შევირბინე შინ. ვიგდე ახალუხის ჯიბეში

ცხელი მჭადის კოკორი და მივაშურე ისე კლასს: არ დამაგვიანდეს-მეთქი. ტროეს გაკვეთილი იწყებოდა. ფეხად შეესწრო ჩემთვის
100 და ხუთი მოწაფე კიდეც გამოეხმო და გაემწკრივებინა. შევყავ თავი თუ არა, მომაყვირა: – შენ, აქ მობრძანდი და დადექ ამათთანაო! მივედი და გავჩერდი. ცხელი მჭადი მომედვა ბარძაყზე და მეცხუნა. მე შმაშური დავიწყე, ხელი მოვუსვი, ასე რომ ავტოკდი, მასწავლებელმა შემნიშნა და მკითხა: რა გემართებაო? დაფარვა აღარ
105 შეიძლებოდა... ამოაყოფინეს ჯიბიდან მჭადს თავი... შეგირდებმა გადიხარხარეს. მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა, გამომართვა მჭადი და წინ **სტოლზე** დაიდვა. მე სირცხვილის ოფლი გადამსკდა. დაგვიწყო გაკვეთილების კითხვა. ამ დროს, ჩემდა საუბედუროდ, ინსპექტორი შემოვიდა. მაშინ კი ამიკანკალდა მუხლები. ეს ისეთი
110 შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის „გაროზგვას“ არა ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ **ოთხში ამოეღო**. ერთხელ ერთსა და იმავე დროს ორი ბავშვი „გაროზგა“: ერთი იმიტომ, რომ თმა წამოგზრდიაო და, მეორეც იმიტომ, რომ მეტად ძირში მოგიჭრიაო! ვიფიქრე: „ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-მეთქი!..“
115 მართლაც, მოჰკრა თვალი თუ არა, დაიღრიალა:

– ამ მჭადს რა უნდა აქ, ვინ მოიტანაო!..

ერთი მოწაფე, რომელიც ხშირად მექიშპებოდა ხოლმე, წამოხტა ზეზე და მოახსენა: წერეთელს ამოუღეს ჯიბიდანაო.

– რათ მოგიტანიაო?! – მკითხა მრისხანედ.

120 მე ენა ჩამივარდა, მაგრამ მასწავლებელმა მოახსენა: ახლავ გაიგებთო და მკითხა:

ეს რა არისო?

მჭადი-მეთქი, – ვუპასუხე კნავილით.

– რისგან კეთდება?

125 – სიმინდისაგან.

– როდის სთესენ სიმინდს? რანაირად იზრდება? როგორ მუშაობენ? როდის აკეთებენ მჭადს და სხვანი. ესენი ყველაფერი გამომკითხა და მეც პასუხს ვაძლევდი. რამდენიმე წუთს მკითხავდა და ბოლოს სთქვა: კარგიო! ხვალ ნუ დაგავიწყდება ბრინჯის მოტანაო; ხვალ იმის შესახებ ვილაპარაკოთო. ინსპექტორმა იფიქრა:
130 აქ სწორედ მასწავლებლის სურვილით მოუტანიათ მჭადიო, და გავიდა კლასიდან ხმაამოუღებლად. მასწავლებელმა მაბეზღარი მოწაფე გაიხმო და ჰკითხა: შენ არა გაქვს რა ჯიბეშიო? გაუსინჯა და **კოჭი** უნახა. – ეს რა არისო? ეს ხომ სათამაშოა, რომელიც
135 კლასებში სრულიად გამოუსადეგარია და შენ კი ჯიბეში გიძევსო!.. წერეთელმა მჭადი მიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ვეღარ მოასწრო და შენ კი სათამაშოდ დაბრძანდები! კარგი, გაჩერდი მაგრე კლასის გამოსვლამდე! მე მაგ კოჭით წარგადგენ ინსპექტორთანო. იმ მოწაფეს **ფერი ეცვალა** და ატირდა. კლასი
140 რომ გათავდა, მიუბრუნდა მტირალს და უთხრა: კარგი, ახლა კი მიპატივებია, მაგრამ შემდეგ კი ფრთხილად იყავი: რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო!

აკაკი წერეთელი
ნაწყვეტი წიგნიდან „ჩემი თავგადასავალი“

სტოლი
(რუსული) მაგიდა

ოთხში ამოღება
სასტიკი ცემა

კოჭი
ხის ან ძვლისგან დამზადებული პატარა სათამაშო კუბი ძველად

ფერი ეცვალა
შეშინდა, ცუდ გუნებაზე დადგა.

ტექსტის შინაარსი

1. როგორ სწავლობდნენ გიმნაზიაში ბავშვები კითხვას?
2. შენი სიტყვებით აღწერე საკლასო ოთახი.
3. რამდენ ხანს ანდომებდნენ მოსწავლეები კითხვის სწავლას?
4. როგორ სჯიდნენ მოსწავლეს, რომელსაც კითხვა შეეშლებოდა?
5. რა იყო „მარკა“? როგორ იყენებდნენ მას გიმნაზიაში?
6. როგორ აიცილა აკაკიმ თავიდან როზგი?
7. როგორ შეხვდნენ აკაკის მშობლები გიმნაზიიდან გამოქცევის ამბავს?
8. რატომ იყენებდნენ გიმნაზიებში როზგს? რით ამართლებდნენ მასწავლებლები გიმნაზიაში როზგის გამოყენებას?
9. აკაკი წერეთლის დაბადების თარიღის დახმარებით დაახლოებით გამოთვალე, როდის ხდება ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი.
10. ვის მიმართა მასწავლებელმა სიტყვებით: რაც შენთვის არ გინდა, იმას სხვას ნუ უზამო? რით დაიმსახურა მოსწავლემ ეს სიტყვები?

ტექსტის ენა

1. 107-ე სტრიქონში მოძებნე სიტყვა „გადამსკდა“ და კონტექსტის მიხედვით ახსენი მისი მნიშვნელობა.
2. ამოიწერე ტექსტიდან ფრაზა, რომელიც აღნიშნავს გაკვეთილის დამთავრებას. მიუთითე სტრიქონის ნომერი.
3. გადაიხაზე ცხრილი რვეულში და მარცხენა სვეტში მოყვანილი ფრაზები დააკავშირე მარჯვენა სვეტში მოთავსებულ მნიშვნელობებთან:

ფერი ეცვალა	სასტიკად სცემა
ოთხში ამოიღო	შეშინდა
ფეხად შეუსწრო	შეუმჩნევლად გაიღიმა
ულვაშებში ჩაიცინა	ძლივს მიუსწრო

4. მოძებნე ტექსტში სიტყვა, რომელიც მოწაფეს ნიშნავს, მაგრამ დღეს ამ მნიშვნელობით აღარ გამოიყენება.
5. აკაკი წერეთელმა ეს წიგნი დაახლოებით ასი წლის წინ დაწერა. მას შემდეგ ზოგიერთი ქართული სიტყვის დაწერილობა შეიცვალა. გარდა ამისა, ხშირად იყენებდა იმერულ დიალექტიზმებს. ქვემოთ მოყვანილია ასეთი სიტყვები. გადაიწერე რვეულში და გვერდით მიუწერე თანამედროვე დაწერილობა: მომედვა; მეცხუნა; გადიხარხარეს; მიტომ; მიპატივებია.
6. რას ნიშნავს გავცეცდი:
   ა. გავშეშდი
   ბ. გავშტერდი
   გ. გამიხარდა
7. როგორ გესმის სიტყვათშეთანხმება „ქაღალდის ფიცრები“? რა ჰქვია დღეს მას?
8. რატომ არის ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები: მარკა, ლინეიკა, სტოროჟები.

ტექსტის ანალიზი

1. როგორ გესმის ანდაზა: „რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო“?
2. იმსჯელე აკაკისა და „ანგელოზის სახის მქონე“ ბიჭს შორის მომხდარ კონფლიქტზე. როგორ მოიქცა ბიჭი, აკაკი რომ დააბეზღა? შეეძლო ბიჭს სხვანაირად მოქცეულიყო? შენ როგორ მოიქცეოდი?
3. ავტორის აზრით, როგორ მოქმედებდა „მარკა“ ბავშვებზე? ეთანხმები ავტორს? რატომ? შენი მოსაზრების დასამტკიცებლად მოიხმე მაგალითები თანამედროვე ცხოვრებიდან.
4. მშობლებმა პატარა აკაკის ურჩიეს: „წადი, რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენ თავზე ხომ არ არის – ყველას როზგავენო. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალო; მაგათში უმისოდ არ შეიძლებაო!“ ეთანხმები მათ რჩევას? რატომ?
5. იმსჯელე, რა თვისებებს ამჟღავნებს აკაკის მასწავლებელი ტროე.
6. როგორ ფიქრობ, იმოქმედებდა თუ არა ბიჭზე სასიკეთოდ მასწავლებლის პატიება და შეგონება?

დავალებები

1. დაწერე თხზულება: როგორ მოჰყავთ მჭადი.
   - იპოვე მასწავლებლის მიერ აკაკისთვის მჭადის მოყვანასთან დაკავშირებით დასმული კითხვები;
   - გაეცი კითხვებს პასუხები წერილობით;
   - ეცადე, ცალკეულ კითხვებზე გაცემული პასუხები ისე გააერთიანო, რომ თხრობა გამოგივიდეს.
2. დაწერე ამბავი სხვა რაკურსით: ცხელი მჭადის ეპიზოდი გადმოეცი მასწავლებლის პირით. იმსჯელე, რა შეიცვალა.
3. გააანალიზე წერილობით აკაკისა და ანგელოზისსახიან ბიჭს შორის მომხდარი კონფლიქტი; შეეცადე, პრობლემას შეხედო ორივე პერსონაჟის თვალით.

თეორია

ავტორი, მთხრობელი, პერსონაჟი

ავტორს უწოდებენ ადამიანს, რომელმაც შექმნა რაიმე სახის ნაწარმოები: რომანი, მოთხრობა, გამოკვლევა, სტატია და ა.შ. ავტორის სახელი წიგნის გარეკანზე წერია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოები კრებულშია შესული – ტექსტის თავში ან ბოლოში.

მთხრობელი არის პიროვნება, რომელიც ამბავს ჰყვება. იგი, შესაძლებელია, ამბის მონაწილე თავადაც იყოს. ამ შემთხვევაში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, ხოლო მთხრობელს მთხრობელ-პერსონაჟს უწოდებენ. ზოგჯერ არ ჩანს, ვინ არის მთხრობელი. ასეთ შემთხვევაში მას უჩინარი მთხრობელი ეწოდება.

პერსონაჟი, ანუ გმირი გამოგონილი ან რეალურად არსებული პიროვნებაა, რომელიც ამბავში მონაწილეობს. ნაწარმოებში გვხვდება მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. მთავარია პერსონაჟი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მხატვრულ თხზულებაში. იგი ნაწარმოებში ასახული მოვლენების შუაგულში დგას და ხშირად წარმართავს კიდეც მოვლენების განვითარებას. მეორეხარისხოვანია პერსონაჟი, რომელიც არსებით ზეგავლენას ვერ ახდენს ნაწარმოებში ასახული მოვლენების განვითარებაზე.

კითხვები და დავალებები

1. გაიხსენე ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ავტორი და მთხრობელი ერთი და იგივე პიროვნებაა.
2. შეიძლება თუ არა, რომ ნაწარმოებში პერსონაჟის სახელი არ იყოს მოხსენიებული?
3. შეიძლება თუ არა, რომ ნაწარმოების არც ერთი პერსონაჟი არ იყოს ადამიანი? შენ თუ წაგიკითხავს ასეთი ნაწარმოები?

ალბათ გინახავს, როგორია სკოლები სოფლად და ქალაქად. იმსჯელე, განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სოფლისა და ქალაქის სკოლები? თუ განსხვავდება, რით?

რევაზ ინანიშვილი
(1926-1991)
ქართველი მწერალი. მრავალი მოთხრობის გარდა დაწერილი აქვს საბავშვო ნაწარმოებებიც.

ჩემი ბავშვობის სკოლა

პატარობისას სოფელში ვსწავლობდი, ჩვენს სოფელში ორი სკოლა იყო – ზევითსკოლა და ქვევითსკოლა, ზევითსკოლა – დიდი, ქვევითსკოლა – პატარა. პატარა სკოლაში პატარები დავდიოდით.

დილაადრიან, რვა საათზე, პირველ ზარს დარეკავდნენ. ამ ზარით გვატყობინებდნენ, აბა, ბავშვებო, მოემზადეთ და წამოდითო. ჩვენც, ბავშვები, ჩავაწყობდით ჩანთაში წიგნებს და რვეულებს, ჩავუჭყუნავდით გვერდით ვაშლებსა და მსხლებს, დავიჭერდით **სამელნეს** ხელში და დავეშვებოდით თავქვემიმავალ ორღობეებში.

სკოლა წისქვილის არხის პირას იდგა, შემაღლებულზე. აქეთ სკოლა იდგა, იქით, ხევს გაღმა – დანგრეული ეკლესია. არხის ქვემოთ ვენახები და ივრის ჭალა იყო, ივრის ჭალის მერე – გრძლადგაწოლილი უტყეო გორა. გორაზე ავტომობილები მიმოდიოდნენ.

სკოლას სულ ოთხი ოთახი ჰქონდა, ოთხი კლასი. ერთი პატარა ოთახიც იყო, სამასწავლებლო. იქ, ასე მახსოვს, ყოველთვის სასიამოვნოდ **ღუდღუდებდა** ღუმელი. ჩვენი იქ შესვლა არ შეიძლებოდა. დაიწყებოდა გაკვეთილი, ჩამოვარდებოდა სიჩუმე – დავშოშმინდებოდით, დავწყნარდებოდით ბავშვები, ვისხედით და ბარტყების თვალებით შევყურებდით მასწავლებელს, მაგრამ ბუზის გაფრენას გაიგონებდითო, ასეთი სიჩუმე არასოდეს არ იყო. გარედან ყოველთვის სხვადასხვანაირი ხმები შემოდიოდა, გაზაფხულზე, მაისში, არხის პირას გაყოლებულ კაკლებზე **მოლაღურები** გადასძახოდნენ ერთმანეთს, შემოდგომაზე – **ჯაფარები**, ზამთრის პირას და ზამთარში ყვავები, დააღებდნენ ყვავები პირს და იყო ერთი – ყვაა, ყვაა, ყვაა! ფანჯრებიდან ისიც მოჩანდა, როგორ ანაცვლებდნენ ის ყვავები კენწეროებზე ფეხებს.

გაზაფხულზევე, მაისში, მერე სექტემბერშიც, დაირეკებოდა თუ არა დიდი შესვენების ზარი, მაგარი ბიჭები საბანაოდ ჩარბოდნენ არხზე. მასწავლებლები წყრებოდნენ, ამიტომ ბიჭები ზემოთ ადიოდნენ და იქ ეშვებოდნენ თავდაყირა წყალში. ვისაც მასწავლებლები შეატყობდნენ, უბანავნიაო, გაკვეთილს ჰკითხავდნენ და ორიანებს უწერდნენ. მაგარი ბიჭები მაინც თავისას არ იშლიდნენ, ისინი დღესაც კარგად მახსოვს: ჯაბალა, ბაბაჯანა, პროკონა, ქშუა... ერთიც იყო, ერთი ყველაზე მაგარი ბიჭი – ღაჭუნა. ვნახავდით და ამ ღაჭუნას გამოაგდებდნენ გაკვეთილიდან. ის კიდევ – წავიდოდა, გაჩერდებოდა შემაღლებულზე, ისე, რომ ფანჯრებიდან კარგად დაენახათ ბავშვებს, იდგა და აღაჭუნებდა ყბებს, რა ედო, არ ვიცი, აქლემივით კი ააქაფებდა ხოლმე პირს. გამოუდგებოდა სკოლის დარაჯი ტაკვია იოსება სახრით, მაგრამ ვერასოდეს ვერ ეწეოდა. თებერვალსა და მარტში ვენახებიდან გრძელი სიმღერების ხმაც მოდიოდა. წინათ, ჩემს პატარაობას, ხშირად მღეროდ-

სამელნე
(ძველად) პატარა ჭურჭელი, რომელშიც ესხა მელანი, სპეციალური სითხე, რომელშიც აწებდნენ კალამს და ისე წერდნენ

ღუდღუდებდა
წყნარად ენთო ცეცხლი

მოლაღური, ჯაფარა
ერთგვარი ფრინველები